საბაკალავრო პროგრამების შეფასება

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური 2013

ძირითადი საკითხები

სწავლით სტუდენტების კმაყოფილების შეფასება;

სწავლების ფორმატისა და მეთოდების შეფასება;

სასწავლო გამოცდილების შეფასება;

სწავლაში ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა;

გამოკითხვის შესახებ

2013 წლის შემოდგომის სემესტრის დასასრულს ილიას უნივერსიტეტში ბაკალავრიატის პროგრამების შესახებ სტუდენტების გამოკითხვა ჩატარდა.

კვლევის ფარგლებში გვსურდა, დაგვედგინა სტუდენტების კმაყოფილება სასწავლო პროგრამით და შეგვეგროვებინა სტუდენტების რეკომენდაციები პროგრამების გაუმჯობესების საკითხებზე.
კვლევაში ბაკალავრიატის საფეხურის პირველი და მესამე კურსის 3290- მა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. რაც გენერალური ერთობლიობის 63%-ს შეადგენს.

სტუდენტების მახასიათებლები

გამოკითხულთა 97%-მა მშობლიურ ენად ქართული დაასახელა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების უმეტესობა (70%) მდედრობითი სქესისაა. მდედრობითი სქესის წარმომადგენლების წილი ჭარბობს განათლების, ზუსტი, ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებებით, ხოლო მამაკაცების - საინჟინრო, ფილოსოფიისა და ხელოვნების მიმართულებით.





მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელება გამოკითხულთა 67%-ს აქვს გადაწყვეტილი. 4% არ აპირებს შემდეგ საფეხურზე სწავლას, ხოლო დანარჩენს ჯერ არ აქვს მიღებული გადაწყვეტილება. სწავლის გაგრძელებას ილიაუნიში გეგმავს რესპოდენთა დაახლოებით 30 %, საზღვარგეთ - 20%, უნივერსიტეტს სავარაუდოდ შეიცვლის 4%, ხოლო 47%-ს ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება.

დასაქმებულთა წილი გამოკითხულთა შორის 22%-ს, შეადგენს, თითქმის ნახევარი მუშაობს სრულ განაკვეთზე.

თუ მეორეკურსელთა შორის დასაქმების მაჩვენებელი სულ 16%-ია, მეოთხეკურსელებში ეს მაჩვენებელი 30%-ს აღწევს. დასაქმებულთა შორის უმეტესობა (55%) კერძო სექტორში მუშაობს, დასაქმებულთა შორის პროფესიით დასაქმებულთა წილი დაახლოებით 20%-ს შეადგენს.

უნივერსიტეტით და პროგრამით კმაყოფილება

იგივე უნივერსიტეტს აირჩევდა ილიაუნის ბაკალავრიატის სტუდენტების 70%, ხოლო ძირითად პროგრამას 73%. კითხვაზე ურჩევდნენ თუ არა მეგობარს ილიაუნიში ჩაბარებას დადებითად პასუხობს გამოკითხულთა 80%-ზე მეტი.



ბაკალავრიატის სტუდენტების ყველაზე დიდი წილი მიიჩნევს, რომ ილიაუნიში სწავლის შედეგად გაუვითარდა პრეზენტაციის უნარი. ასევე, სტუდენტების დიდი წილის აზრით, ილიაუნიმ წვლილი შეიტანა გუნდური მუშაობის, ახალი ინფორმაციის მოძიებისა და კომუნიკაციის უნარების, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების კუთხით. სტუდენტების აზრით, ილიაუნიში სწავლას შედარებით ნაკლები ეფექტი აქვს კვლევის, პროექტის მართვისა და უცხო ენის ცოდნის გაღრმავების მიმართულებით.



სასწავლო პროცესის შეფასება

სტუდენტების ყველაზე დიდი წილი დაეთანხმა დებულებებებს, რომ განვლილი კურსების შედეგად შეიძინა ახალი ცოდნა და გამოცდილება. რესპონდენტები ზოგადად კმაყოფილები არიან სასწავლო მასალების ხარისხით და მათი მიწოდების ოპერატიულობით, ასევე გამოკითხულთა ნახევარზე მეტი თვლის, რომ შეფასების კრიტერიუმები და კომპონენტები სწორად ფასებდა სტუდენენტს, თუმცა რესპონდეტთა მეათედს შეფასების სქემა საკუთარი სუსტი მხარეები იდენტიფიკაციაში ვერ დაეხმარა.



ასევე დავინტერესდით როგორ შეაფასებდენენ ილიაუნის ბაკალავრიატის სტუდენტები უნივერსიტეტში თვითგანვითარების და პროფესიული ზრდის შესაძლებლობას, სტუდენტურ ცხოვრებას, პროფესორებთან და სტუდნეტებთან ურთიერთობას და აშ. ამ ასპექტებს შორის ყველაზე მაღალი საშუალო შეფასება პროფესორებისა და სტუდენტების ურთიერთობამ მიიღო.



ზოგადად ბაკლავრები დადებითად აფასებენ უნივერისტეტის როგორც მატერიალური, ისე ტექნიკურ სერვისებს. ყველაზე მაღალი საშუალო შეფასება მაღაზია ლიგამუსმა, არგუსმა და ბიბლიოთეკამ მიიღო.



დაგეგმილი ცვლილებები

კითხვაზე რის გაუმჯობესებას ისურვებდნენ სასწავლო პროგრამის ფარგლებში უპასუხა გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების ნახევარმა, საიდანაც 50%-ზე მეტი კმაყოფილია პროგრამით და ამ ეტაპზე არაფრის შეცვლას არ ისურვებდა.

დანარჩენი სტუდენტების შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით გაიმართა შეხვედრები ფაკულტეტების დეკანებთან. ფაკულტეტები გეგმავენ დამატებით ღონისძიებებს პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერების, საგნების მრავალფეროვნების გაზრდის და კურსების არჩევისას კონსულტაციის სერვისის გასაუმჯობესებლად.